

დავით პეტრიაშვილი

Tuscia/Italy

ერაზმუს + ის პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა მქონდა კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის სახელით ტუშას უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩამეტარებინა ლექციები მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმების შესახებ და მათთვის ამეხსნა, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამა თუ იმ ეკონომიკურმა პოლიტიკამ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. თემამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც აისახა სტუდენტების მაღალ ჩართულობასა და ლექციების შემდგომ გამართულ დისკუსიებში.

საინტერესო იყო ტუშას უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით მყოფ ქართველ სტუდენტებთან შეხვედრა, მათგან ქართულ და იტალიურ სწავლების მეთოდების შესახებ შედარებების მოსმენა. განსხვავებულ გარემოში ლექციების ჩატარება ნამდვილად იყო სასარგებლო გამოცდილება, რაც ჩემს აკადემიურ განვითარებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, გამოიკვეთა ტუშას უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ორ უნივერსიტეტს შორის დაწყებულ თანამშრომლობას.